

19. საქართველოს პარლამენტის განცხადება, 1994 წლის 1 დეკემბერი

საქართველოს პარლამენტის განცხადება

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სახელწოდებით მოქმედმა სეპარატისტ-მეომბოხეთა დაჯგუფებამ 1994 26 ნოემბერს ქ. სოხუმში მიიღო ე. წ. აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, გამოაცხადა საქართველოს განუყოფელი ნაწილი – აფხაზეთი საერთაშორისო სამართლის სუბიექტად და აირჩია პრეზიდენტიც.

საქართველოს პარლამენტმა ჯერ კიდევ 1994 წლის 10 მარტს, საერთაშორისო სამართლის იმპერატიული პრინციპების მოთხოვნებიდან გამომდინარე, დაითხოვა აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, როგორც აპარტიდული წესით არჩეული ორგანო, რომელიც სისტემატიურად არღვევდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას და ამ ორგანოს სახელით დროულად ეცნობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და მსოფლიო საზოგადოებრიობას.

ამასთან ერთად მემბოხე სეპარატისტებმა ეს გადაწყვეტილება მიიღეს იმ პირობებში, როცა აფხაზეთიდან განდევნილია მოსახლეობის 70 პროცენტზე მეტი და ყოფილი უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა თითქმის ნახევარი, რომელიც წარმოადგენს აფხაზეთის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას, გამოძევებულია რეგიონიდან, ხოლო ზოგიერთი დეპუტატი დახვრეტილია.

ამრიგად, დღეს აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილოების მიხედ-ვი-თაც და მისგან დამოუკიდებლად არ არსებობს ლეგიტიმური ორგანო, რომელსაც აფხაზეთში მცხოვრები ხალხის სახელით კონსტიტუციურ საკითხებზე მსჯელობის უფლება აქვს.

აქედან გამომდინარე, მემბოხე-სეპარატისტთა მიერ მიღებული 26 ნოემბრის გადაწყვეტილება აფ-ხაზეთის დამოუკიდებლობის, ახალი კონსტიტუციის მიღების და პრეზიდენტის არჩევის შესახებ არ იწვევს არავითარ იურიდიულ შედეგებს არც ქვეყნის შიგნით, არც საერთაშორისო სამართლის სისტემაში. აფხაზეთის ტერიტორიაზე მთლიანად ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა.

საქართველოს პარლამენტი სინანულს გამოთქვამს, რომ აფხაზეთი მემბოხე სეპარატიზმის აღ-ნიშ-ნული აქტი არის მშვიდობიანი მოლაპარაკების პროცესის საბოლოოდ ჩაშლის ცდა, რადგან აფხაზეთი მემბოხე-სეპარატისტებმა თვითნებურად და უკანონოდ შეცვალეს მოლაპარაკების ერთ-ერთი მხარის სტატუსი, გამოაცხადეს რა აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებული სუვერენული საქართველოს ტერიტორიაზე ომის გაჩარების, დაქირავებულთა გამოყენების, ეთნიკური ნიშნით ხალხის გენოციდის და მშვიდობიანი მო-სახლეობის ჟლეტა-განდევნის შემდეგ დამოუკიდებლობის გამოცხადება არ არის მხოლოდ საქართვე-ლოს პრობლემა, ეს არის საერთაშორისო მასშტაბით იმ ძალების წაქეზება, რომელთა მიზანია ბოლო მოუღონ თანამედროვე მსოფლიო მართლწესრიგს, ძირი გამოუთხარონ საზღვრების ურღვევობას, სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში ჩაურევლობის იმპერატიულ პრინციპებს და გადააქციონ სეპარატიზმი რე-აქციულ გლობალურ პრობლემად.

საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, რომ მშვიდობიან მოლაპარაკებათა ამოწურვის ან შეუძლებლობის შემთხვევაში ნებისმიერი სახიფათო კონფლიქტის მონაწილე ხელისუფლების უზურპატორთა იძულებით ნეიტრალიზება, რომლებიც შლიან მოლაპარაკებას და უგულვებელყოფენ უშიშროების საბ-ჭოს რეზოლუციებს.

საქართველოს პარლამენტი მიმართავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირს, მსოფლიო თანამეგობრობის წევრი ქვეყნების, მათ შორის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების პარლამენტებს, კეთილი ნების ყვე-ლა ადამიანს _ მხარი დაუჭირონ საქართველოს, რომლისთვისაც აფხაზეთში მომხდარი კონფლიქტი არის საშინაო საქმე, თუმცა მისი წარმოშობა და შედეგები არსებითად განაპირობა გარეშე ფაქტორებმა. მი-უხედავად საერთაშორისო ინსტიტუტების მცდელობისა, ამ ფაქტორების უარყოფითი მოქმედება კვლავაც გრძელდება და სწორედ ამიტომ კონფლიქტის პოლიტიკური მასშტაბი ვეღარ დარჩება მხოლოდ საქართველოს საშინაო საქმედ, რადგანაც სახიფათო რეზონანსს გამოიწვევს სხვა ქვეყნებში.

საქართველოს პარლამენტი საქვეყნოდ აცხადებს: საქართველოს სახელმწიფოს სრული მორალური, პოლიტიკური და იურიდიული უფლება აქვს ყველა საშუალებით აღადგინოს სახელმწიფოს სუვენერიტეტი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

თბილისი, 1994 წლის 1 დეკემბერი

(საქართველოს პარლამენტის უწყებები, # 23-26, 1994 წელი, გვ. 9-10)